სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

25 აგვისტო 2025

N 450/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელ გეგუთში შპს „გრაველი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „გრაველი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გეგუთში და მოიცავს ორ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ: 29.14.32.476, 29.14.32.570; ჯამური ფართობი: 13 561 მ^2). 29.14.32.476 საკადასტრო ერთეული წარმოადგენს შპს „გრაველი“-ს, ხოლო 29.14.32.570 საკადასტრო ერთეული – შპს „გრაველი“-ს დირექტორის საკუთრებას. 29.14.32.476 საკადასტრო ერთეულზე ფუნქციონირებს შპს „გრაველი“-ს ბეტონის კვანძი, რომელზეც კომპანიას 2024 წლის 29 ოქტომბერს სააგენტოსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით გადის გეგუთის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს უახლოესი დასახლებული პუნქტი. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საკადასტრო საზღვრამდე (ს/კ: 29.14.34.617) მანძილი შეადგენს დაახლოებით 550 მეტრს. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაახლოებით 490 მეტრში განთავსებულია შპს „ქრაშერი ჯორჯია“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო (ს/კ: 29.14.32.321), რაზეც აღნიშნულ კომპანიას 2023 წლის 13 ნოემბერს სააგენტოსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე (ს/კ: 29.14.32.476; ფართობი: 5 319 მ^2) მოწყობილი ბეტონის კვანძი მოიცავს ბეტონშემრევ დანადგარს, ცემენტის სილოსს და ლენტურ კონვეიერს. აღსანიშნავია, რომ ცემენტის სილოსზე დამონტაჟებულია ქსოვილოვანი ფილტრები 99%-იანი მტვერდამჭერით. ბეტონის კვანძი მუშაობს წელიწადში 250 დღე, დღეში 8-საათიანი გრაფიკით და უზრუნველყოფს წელიწადში 40 000 მ^3 ბეტონის ხსნარის წარმოებას. ბეტონის ხსნარის წარმოებისთვის გამოიყენება წელიწადში 13.2 ტონა ცემენტი, 34 ტონა ქვიშა, 38 ტონა ღორღი და 6 ტონა წყალი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არსებული ბეტონის კვანძის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 29.14.32.570; ფართობი: 8 242 მ^2) შპს „გრაველი“ გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას, რისთვისაც აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მოეწყობა ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო.

საწარმოს შემადგენლობაში გათვალისწინებულია ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი 4 ტექნოლოგიური ხაზი, საიდანაც 2 ტექნოლოგიურ ხაზზე მოხდება სასარგებლო წიაღისეულის სველი და 2 ტექნოლოგიურ ხაზზე – მშრალი მეთოდით გადამუშავება. ტექნოლოგიური ხაზების შემადგენლობაში შევა: მიმღები ბუნკერები, 4 ერთეული ყბებიანი და 2 ერთეული როტორული სამსხვრევი, 2 ერთეული გამაცხავებელ-დამხარისხებელი/ვიბროცხავი, ლენტური ტრანსპორტიორები. საწარმოს ტერიტორიაზე ასევე განთავსდება სალექარი, ნედლეულის/პროდუქციის ღია საწყობები და საოპერატორო შენობა-ნაგებობა. საწარმოში ქვიშა-ხრეში შევა ავტოთვითმცლელებით, შპს „გრაველი"-ს ლიცენზირებული კარიერიდან, რომელიც მდებარეობს საწარმოდან დაახლოებით 1 500 მეტრში. სველი მსხვრევის ტექნოლოგიური ხაზებიდან თითოეულის წარმადობა შეადგენს საათში 15 $მ^3$-ს (ჯამურად 30 $მ^3$/სთ). აღნიშნულ ხაზებზე სასარგებლო წიაღისეულის გადასამუშავებლად ნედლეული ბულდოზერით ჩაიყრება მიმღებ ბუნკერებში და ლენტური ტრანსპორტიორებით მიეწოდება ვიბროცხავს, სადაც შეერევა წყლის ნაკადი. გამოყოფილი ქვიშა დასაწყობდება ქვიშის საწყობში, ხოლო ლამი წყალთან ერთად დაილექება სალექარში. ვიბროცხავიდან ქვიშის გამოყოფის შემდგომ დარჩენილი ღორღი, საჭირო ფრაქციების მისაღებად, დაიმსხვრევა ყბებიან და როტორულ სამსხვრევებში. მიღებული 0-16 მმ, 0-18 მმ და 0-20 მმ ზომის ფრაქციები ლენტური ტრანსპორტიორებით განთავსდება შესაბამის საწყობებში. აღნიშნული ხაზები იმუშავებს წელიწადში 250 დღე, 8-საათიანი გრაფიკით და უზრუნველყოფს წელიწადში ჯამურად 60 000 $მ^3$ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას. რაც შეეხება მშრალი მსხვრევის ტექნოლოგიურ ხაზებს, თითოეული ტექნოლოგიური ხაზის საათური წარმადობა შეადგენს 2.5 $მ^3$-ს (ჯამურად 5 $მ^3$/სთ). აღნიშნულ ხაზებზე განხორციელდება სასარგებლო წიაღისეულის ყბებიან სამსხვრევში მსხვრევა, საიდანაც მიიღება 10 მმ, 14 მმ, 16 მმ, 20 მმ და 40 მმ ზომის ფრაქციები. მშრალი მსხვრევის ტექნოლოგიური ხაზები იმუშავებს წელიწადში 250 დღე, 8-საათიანი გრაფიკით და უზრუნველყოფს წელიწადში ჯამურად 10 000 $მ^3$ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას. საწარმოში გათვალისწინებულ ოთხივე ტექნოლოგიურ ხაზზე წლის განმავლობაში მოხდება ჯამურად 70 000 $მ^3$ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, საიდანაც ძირითადი ნაწილი (60 000 $მ^3$) გადამუშავდება სველი, ხოლო მცირე ნაწილი (10 000 $მ^3$) – მშრალი მეთოდით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა გულისხმობს მხოლოდ შესაბამისი ტექნოლოგიური ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირებას და გამოყოფილ ადგილებზე დამონტაჟებას, რაც გაგრძელდება არაუმეტეს 20 დღე. შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოები გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნით. ობიექტი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო საწარმოო დანიშნულებით წყალაღება მოხდება გეგუთის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხიდან (GPS კოორდინატები: X-309694 Y-4672389), შპს „საქართველოს მელიორაციასთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვას, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეიკრიბება საასენიზაციო ორმოში, რომლის განტვირთვა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოში გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა. კერძოდ, საწარმოო დანიშნულებით საჭირო წყალი დაგროვდება საწარმოს ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაახლოებით 88 მეტრში (ს/კ: 29.14.32.521) არსებულ გრუნტის ტბორში, საიდანაც მიეწოდება სველი მსხვრევის ტექნოლოგიურ ხაზებს და სალექარში გაწმენდის შემდგომ დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ასევე შეიკრიბება სალექარში.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია არსებული ბეტონის კვანძის და საპროექტო სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების, კერძოდ, არაორგანული მტვრის და ცემენტის მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი ნაწილი გადამუშავდება სველი მეთოდით, ხოლო არსებული ბეტონის კვანძის ცემენტის სილოსზე დამონტაჟებულია ქსოვილოვანი ფილტრები 99%-იანი მტვერდამჭერით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მტვრის ნაწილაკების რაოდენობას. დაგეგმილი საქმიანობის წარმადობის და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნეილი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები და სატრანსპორტო საშუალებები. დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება, რომლის თანახმად, უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 48.53 დბა-ს. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე კანონმდებლობით დადგენილი ზღვრულად დასაშვები ხმაურის ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად. არასახიფათო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სალექარში დაგროვებული ლამი დროებით დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ გავა სარეალიზაციოდ.

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება მიმდებარედ არსებულ შპს „ქრაშერი ჯორჯია“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელ საწარმოსთან ერთობლივად საქმიანობის პირობებში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით. საპროექტო საწარმოს და შპს „ქრაშერი ჯორჯია“-ს საწარმოს წარმადობების, გადამუშავების მეთოდის, ასევე ერთმანეთთან და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილების გათვალისწინებით, აღნიშნული საწარმოების ერთობლივად ფუნქციონირებით მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია არსებული ბეტონის კვანძის მომიჯნავედ, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, წარმადობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელ გეგუთში შპს „გრაველი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „გრაველი“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გრაველი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრაველი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/450-21-4-202508251744

ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED